



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2019-2025)

	დადგენილების #	თარიღი
დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 4	09.03.2019
შეტანილია ცვლილება:*		

* - შეტანილი ცვლილების აღწერა წარმოდგენილია დანართი1-ში

**თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2019-2025)**

1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობ მექანიზმებს უნივერსიტეტის ფორმისა და ფუნქციების შესაბამისად.
2. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციას განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს:
 - ორგანიზაციული განვითარებისათვის;
 - ხარისხის უზრუნველყოფისთვის;
 - საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის;
 - სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის;
 - პერსონალისა და სტუდენტების განვითარებისათვის.
3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სფეროში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:
 - უზრუნველყოს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობის მაღალი ხარისხი;
 - განავითაროს პერსონალი და ინტერნაციონალიზაციის პროცესი წარმართოს სწორად შერჩეული ჩართული პირების საშუალებით (ენის კარგი ცოდნით, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარით, საუკეთესო საკომუნიკაციო თვისებებით, პროექტების მართვის გამოცდილებით, სწავლისა და ინოვაციების ძიების უნარით);
 - ხელი შეუწყოს პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობას და უცხოელი სტუდენტების მოზიდვას;
 - ხელი შეუწყოს მუდმივი საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარებას;
 - უზრუნველყოს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ინფორმაციის რეგულარული და გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობა (ინგლისურ ენაზე).
4. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი მექანიზმებია:
 - 4.1. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდაჭერა სტრატეგიული განვითარებისა (2019-2025) და სამოქმედო გეგმებით (2019-2021);
 - 4.2. ინტერნაციონალიზაციის პროცესის ინტეგრირება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ყველა ძირითად მიმართულებებში
 - 4.3. ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული თითოეული მიზანის/ამოცანის კომპონენტებისათვის წარმმართველი სტრუქტურების განსაზღვრა
 - 4.4. ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული თითოეული მიზანის/ამოცანისთვის შესრულებისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა.
5. გაცხადებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად ინტერნაციონალიზაციის საკითხები ინტეგრირებულია სტრატეგიული განვითარების (2019-2025) გეგმის შემდეგ ამოცანებში:
 - უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
 - უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა;

